სწავლულის უპირატესობა მლოცველზე ისეთივეა, როგორც ჩემი უპირატესობა თქვენგან ყველაზე უმდაბლესზე

აბუ უმამა ალ-ბაჰილისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორი კაცი ახსენეს – ერთ-ერთი იყო მლოცველი და მეორე კი სწავლული, მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სწავლულის უპირატესობა მლოცველზე ისეთივეა, როგორც ჩემი უპირატესობა თქვენგან ყველაზე უმდაბლესზე», შემდეგ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი, მისი ანგელოზები, ცათა და მიწათა მცხოვრებლები – თუნდაც ჭიანჭველა თავის სოროში და თევზი ზღვაში – ვედრებას აღავლენენ იმ ადამიანისთვის, ვინც ასწავლის ხალხს სიკეთეს».

[حسن لغيره] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორი კაცი ახსენეს – ერთ-ერთი იყო მლოცველი და მეორე – სწავლული, და ჰკითხეს, რომელია მათგან უკეთესი? უპასუხა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): ის სწავლული, რომელიც ფლობს შარიათის ცოდნას, მოქმედებს მის მიხედვით და ასწავლის მას, უფრო ღირსეულია, ვიდრე ის, ვინც მთლიანად ლოცვასა და ღვთისმსახურებას მიუძღვნა თავი, თუმცა იცის ის ცოდნა, რაც მისთვის სავალდებულოა. ეს უპირატესობა იგივეა, როგორც მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღმატებულება და პატივი მისი ყველაზე დაბალი საჰაბას მიმართ. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ამ უპირატესობის მიზეზი: ალლაჰი, მისი ანგელოზები – მათ შორის არშის მატარებლები, ცათა მცხოვრები ყველა ანგელოზი, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები და ჯინები, ყველა ცხოველი, მათ შორის ჭიანჭველა, რომელიც თავის სოროში იმყოფება, და ზღვის თევზები – ყველა ისინი ვედრებას აღავლენენ იმ ადამიანისათვის, რომელიც ასწავლის ხალხს იმ ისლამურ სწავლებებს, რომლებიც მათ გადარჩენასა და წარმატებას მოუტანს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6106